ახალი განათლება

22 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№40 (754) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

გაზეთი გამოსვლას 19 იანვრიდან განაახლებს

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

აცხადებს კონკურსს პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ პროფესორის (1 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (2 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

საერთაშორისო ურთიერთობები (1 პროფესორი);
საერთაშორისო ურთიერთობები და საჯარო მმართველობა
(1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასისტენტ პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის
- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 22 იანვრიდან 2017 წლის 22 თებერვლის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის მედიის სკოლა

აცხადებს კონკურსს ასოცირებული პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტ პროფესორის (4 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

ინტერკულტურული კომუნიკაცია, ფილოსოფია /კრიტიკული აზროვნების საფუძვლები/
(2 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი);
გლობალური ჟურნალისტიკა (1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი);
ახალი მედია (1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ასოცირებული პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასისტენტ პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტისთვის
- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 22 იანვრიდან 2017 წლის 22 თებერვლის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა (CST)

აცხადებს კონკურსს პროფესორის (6 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (6 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ პროფესორის (6 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (6 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

ინფორმაციული ტექნოლოგიები
(4 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი, 4 ასისტენტი);
არქიტექტურა
(2 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 2 ასისტენტი)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, ექვსწლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება.

ბ) ასისტენტ პროფესორისთვის
- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის ორწლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის
- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის ორწლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება.
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, სამწლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:
I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 22 იანვრიდან 2017 წლის 22 თებერვლის ჩათვლით

ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს კონკურსს
აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

2016 წლის 22 ოქტომბერი

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 22 დეკემბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 22 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით. საკონკურსო მასალების განხილვა კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება მოხდეს არაუგვიანეს 2017 წლის 28 იანვრისა; აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა.

კონკურსი გამოცხადდეს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

ბიზნესის ადმინისტრირება: პროფესორი – 4 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 9 საშტატო ერთეული; ასისტენტ პროფესორი – 7 საშტატო ერთეული.

აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა (დადგენილი ფორმის მიხედვით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი (შესაბამის სფეროში) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) გამოქვეყნებული შრომების სია ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ზ) ავტობიოგრაფია CV;

თ) 1 ფოტოსურათი 3X4-ზე;

ი) შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები.

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2017 წლის 22 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, ქართულ-ევროპული სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის №26.

კონკურსი უფროსკლასელთათვის — 2016–2017

„ტრადიციული თამაშობები“

კონცეფცია

არამატერიალური მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მოიცავს ზეპირსიტყვიერებას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის გამოსახვის საშუალებას, ადათ-წესებს, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმებს, ცოდნასა და ჩვევებს – მათთან დაკავშირებულ საგნებსა და კულტურულ სივრცეებს, ყველაფერს, რაც ტრადიციულ კულტურას უკავშირდება, თაობიდან თაობას ცოდნისა და გამოცდილების სახით გადაეცემა და გაფრთხილებასა და შენარჩუნებას, ხშირ შემთხვევაში კი, დაცვასა და აღორძინებას საჭიროებს.

არამატერიალური კულტურის მნიშვნელობას ადასტურებს იუნესკოს მრავალწლიანი ძალისხმევა მისი დაცვისა და პოპულარიზაციისათვის. 2001 წელს, იუნესკოს მიერ შექმნილ „მსოფლიო ზეპირი და ხელთუქმნელი შედევრების“ ნუსხაში, 19 ნიმუშს შორის, ერთ-ერთი სწორედ ქართული მრავალხმიანობაა. 2013 წლის დეკემბერში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტმა წარმომადგენლობით ნუსხაში „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ აღიარა. 2016 წლის 4 დეკემბერს იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სახელმწიფოთაშორისო კომიტეტმა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში კიდევ ერთი ქართული ძეგლი შეიტანა – „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“.

საერთაშორისო აღიარების უპირველესი წინაპირობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე დაცვა და გაფრთხილებაა. ამ სფეროს წარმატებული დაცვისათვის კი უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ტრადიციების მოძიებისა და დაცვისათვის.

უფროსკლასელთა კონკურსი უკვე მეხუთედ ტარდება და წარმატებულ ტრადიციად ჩამოყალიბდა. წლევანდელი კონკურსის თემა **„ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“** არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში სკოლის მოსწავლეების ინტელექტუალური რესურსის ჩართულობის კიდევ ერთი, შესანიშნავი საშუალებაა.

კონკურსის მიზანია: საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების, მათი ოჯახის წევრების, პედაგოგებისა და ადგილობრივი თემის ჩართვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციული, ნაკლებად ცნობილი თამაშობების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს განურჩევლად ასაკისა – ინდივიდუალურად და ჯგუფურად, პედაგოგის ხელმძღვანელობით, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სკოლებში შიდა შერჩევის წესით.

სავალდებულოა თამაშის აღწერილობას თან ახლდეს მოსწავლეების მიერ გადაღებული თამაშის პროცესის ფოტო და ვიდეომასალა.

ჩატარების ვადა: კონკურსი ჩატარდება 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ივნისამდე. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე გავრცელდება გაზეთ „ახალი განათლებით“, ტელევიზიებითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

განხორციელების მეთოდოლოგია: კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com წარმოდგენილი იქნება თამაშის (თამაშების) ზედმიწევნით ზუსტი აღწერა და თამაშის პროცესის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა. საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენები გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტურში, ექსპერტების დახმარებით, დახვეწენ წარმოდგენილ ნამუშევარს, საჭიროებისამებრ, დამატებით, გადმოგვიგზავნიან საილუსტრაციო მასალას.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება.

ექსპერტების კონსულტაციების გათვალისწინებით, შესწორებული და შერჩეული ნიმუშების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოსცემს ილუსტრირებულ კრებულს, რომელიც, სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად, გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცემათ, ხოლო მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მასმედიის საშუალებით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება.

კონკურსი უფროსკლასელთათვის 2016–2017 „ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე **„ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“**.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მეხსიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენნი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;

2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს. ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, jpg ფორმატში;

3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე jpg ფორმატით;

4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).

***სასურველია,* ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

***სასურველია*, მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.**

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
- <u>ან</u> გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- <u>ან</u> მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – ***თამაშის დასახელება;***
2. ავტორი – მოსწავლ/ეებ/ის *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება *(რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);*

7. ნიმუშის აღწერა

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – *მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;*
- სახელწოდება *(აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*
- ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;*
- ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
- აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
- *რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;*
- *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაიფიქსირეთ ფოტოზე);*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.*
- ***აღწერეთ თამაშის პროცესი***

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში

599 08 40 03; ან 577 27 80 02

aramaterialuri@yahoo.com

მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“** წოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება

 პროფესიული განვითარება

eTwiningPlus – ვირტუალური პარტნიორობა ევროპელ კოლეგებთან

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წლიდან, ევროკომისიის დახმარებით, ახორციელებს eTwining-ის პროგრამას. eTwining ევროპის ქვეყნების სკოლების თანამშრომლობის ხელშესაწყობად შექმნილი ონლაინ პლატფორმაა, სადაც მასწავლებლებს, სკოლის დირექციასა და სკოლაში მომუშავე სხვა პერსონალს ერთმანეთთან დაკავშირება, თანამშრომლობა, იდეების გაზიარება და სასწავლო პროექტების განხორციელება შეუძლიათ. eTwining Plus-ის მთავარი სამუშაო სივრცე ელექტრონული პლატფორმაა, რომელიც დარეგისტრირებულ მასწავლებლებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებსა და სერვისებს სთავაზობს პარტნიორების მოსაძებნად, სასურველი პროექტების შესარჩევად და მონაწილეობის მისაღებად, იდეებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გასაზიარებლად. როგორ უნდა ჩაერთოს ქართველი მასწავლებელი პროექტში, რა სიახლეებს და რა სარგებელს სთავაზობს პროგრამის მრავალფეროვანი აქტივობები მასწავლებლებს და მოსწავლეებს, ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის eTwining Plus პროგრამის კოორდინატორი ხატია მატკავა.

– როდის ჩაერთო ჩვენი ქვეყანა პროგრამაში და რა სიახლეები იგეგმება 2017 წლიდან?

– eTwining ევროპაში 2005 წლიდან დაიწყო და პორტალის მონაცემებით, ევროპის მასშტაბით, პროგრამაში, დაახლოებით, 170 ათასამდე სკოლა და ნახევარმილიონამდე მასწავლებელია ჩართული, ყოველდღიურად პორტალს 20 ათასი მომხმარებელი სტუმრობს. საქართველო პროგრამის წევრი 2013 წლიდან გახდა მოლდოვასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასა და ტუნისთან ერთად. შესაბამისად, პირველი რეგისტრაციაც მასწავლებლებისთვის, პროგრამაში ჩასართავად, 2013 წელს გამოცხადდა.

საქართველოდან პირველადი რეგისტრაცია 2013 წლის მარტში განხორციელდა და თავდაპირველად ჩართული იყო 600-მდე მასწავლებელი 293 სკოლიდან, ჯამში 115 პროექტი განხორციელდა. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოდან eTwiningPlus-ზე დარეგისტრირებულია 350 მასწავლებელი 188 სკოლიდან.

მასწავლებლებს, ენობრივი ბარიერის გამო, პრობლემები შეექმნათ და ნაწილი გამოეთიშა კიდეც პროგრამას. შემდგომ უკვე პროგრამამ განვითარება დაიწყო, მასწავლებლებიც უფრო მეტად გააქტიურდნენ, რასაც მათ მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობა ადასტურებს – 2014 წელს 200 პროექტი იყო, 2015 წელს – 222, ხოლო 2016 წელს, დაახლოებით, 400 პროექტში მიიღეს ქართველმა მასწავლებლებმა მონაწილეობა. ჯამში, პორტალის მონაცემების მიხედვით, 946 პროექტია რეგისტრირებული, სადაც ქართველი მასწავლებლები იყვნენ ჩართულები.

2017 წლიდან დაგეგმილი სიახლეებიდან მთავარია ის, რომ მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ ეროვნული პროექტები განახორციელონ. თუკი აქამდე მთავარი ორიენტირი ევროპულ პროექტზე კეთდებოდა (ქართველ მასწავლებელს არ ჰქონდა უფლება პროექტის ინიცირება ქართულ ენაზე გაეკეთებინა, აუცილებლად ევროპელი პარტნიორი უნდა ჰყოლოდა და ამასთანავე, აუცილებლად ინგლისურ ენაზე უნდა მომხდარიყო), 2017 წლიდან მათ უფლება ეძლევათ პარტნიორად ქართველი მასწავლებელი ჰყავდეთ და, შესაბამისად, პროექტის ინიცირებაც ქართულ ენაზე გააკეთონ – ორმა ან მეტმა ქართველმა მასწავლებელმა, ქართულ ენაზე, ერთობლივად, დაგეგმოს და განახორციელოს პროექტი პორტალის გამოყენებით. რასაკვირველია, პრიორიტეტად ისევ ევროპული პროექტები რჩება, მაგრამ ეს სიახლე მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია თუნდაც იმ კუთხით, რომ მიეჩვიონ პორტალზე მუშაობას, გაეცნონ მის სპეციფიკას და განახორციელონ პროექტები. ეს შეიძლება პროგრამის პირველ ეტაპად მივიჩნიოთ და შემდგომ, თუკი ევროპულ პროექტებში ჩაერთვებიან და პარტნიორები ევროპული ქვეყნებიდან ეყოლებათ, თავისთავად, უმჯობესია, რადგან პროგრამის არსიც სწორედ სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან თანამშრომლობაა. აქამდე, ენის ბარიერის გამო, ძირითადად, პროგრამაში უცხო ენების მასწავლებლები ერთვებოდნენ, სხვა საგნის მასწავლებლები შედარებით ნაკლებად. ახლა, რადგან ენობრივი დაბრკოლებები მოიხსნება, გაცილებით მეტ მასწავლებელს მიეცემა საშუალება, ჩაერთოს eTwiningPlus-ში. პროგრამაში მონაწილე მასწავლებელი ყველა რეგიონიდან გვყავს.

პროგრამა განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ ერთადერთია, რომელიც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ითანამშრომლონ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლებთან, მათ ვირტუალური პარტნიორები ჰყავთ, თუმცა დაჯილდოების ცერემონიალებზე ან საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებზე, საშუალება ეძლევათ შეხვდნენ პარტნიორებს და პირადად გაიცნონ კოლეგები. ასეთი ვიზიტებიც წამახალისებელია მასწავლებლებისთვის, რომ ჩაერთონ პროგრამაში.

– რა ტიპის პროექტებს ახორციელებენ მასწავლებლები, რომელი თემატიკაა უფრო პოპულარული?

– პროექტის სახე მასწავლებელმა შეიძლება ნებისმიერ რამეს მისცეს, მაგალითად, დაწყებითი კლასის მასწავლებელმა შეიძლება გააკეთოს პროექტი „საახალწლო ტრადიციები“, „ჩვენი კულტურული ტრადიციები“, „პოპულარული მწერლები“ და ა.შ. ქართველ მასწავლებლებში უფრო პოპულარულია კულტურის მიმართულების პროექტები, მეტ აქცენტს თავიანთი ქვეყნის კულტურასა და ისტორიაზე აკეთებენ. ასევე, საპროექტო იდეებში აქტიურადაა ბუნებისმეტყველების მიმართულება, სოციალურ პროექტებსაც შეხვდებით, მაგალითად, პროექტს შეიძლება ერქვას „თინეიჯერების კლუბი“, სადაც შედარებით უფრო მაღალი კლასის მოსწავლეები არიან ჩართული; ასევე, ბავშვთა უფლებების შესახებაც ამზადებენ პროექტებს, ცხოველთა სამყაროს და ა.შ. ძალიან პოპულარულია ეკოპროექტები. სხვათა შორის, წელს გვქონდა ეკოპროექტი სახელწოდებით „დედამიწას სჭირდება დახმარება“, რომელმაც ევროპული ხარისხის ნიშანი მიიღო.

– როგორ ხდება eTwiningPlus-ის მონაწილეების პროექტების შერჩევა და რას ნიშნავს ევროპული ხარისხის მინიჭება? გარდა ამისა, რა მოტივაცია აქვს მასწავლებელს პროექტში მონაწილეობისთვის?

– პროგრამა ძალიან ბევრ აქტივობას ახორციელებს იმისათვის, რომ გაზარდოს მასწავლებელთა მოტივაცია. ყოველწლიურად, როცა პროექტი დასასრულს უახლოვდება, მასწავლებელი აკეთებს განაცხადს იმისთვის, რომ მიიღოს ხარისხის ნიშანი. თითოეულ ქვეყანას (პროგრამაში ჩართულია 39 ქვეყანა ევროპიდან) თავისი ეროვნული მხარდაჭერის სააგენტო ჰყავს. ჩვენ შემთხვევაში, ეროვნული მხარდაჭერის სააგენტოს მასწავლებლის სახლი წარმოადგენს, რომელიც პროგრამას ახორციელებს. მასწავლებელი აკეთებს განაცხადს ნაციონალური ხარისხის ნიშანზე და ჩვენ ვაფასებთ მის პროექტს. მას შემდეგ, რაც პროექტი მიიღებს ეროვნული ხარისხის ნიშანს, მას შეუძლია განაცხადი ევროპული ხარისხის ნიშანზე გააკეთოს. წარდგენილ პროექტებს ევროპელი კოლეგები განიხილავენ და, შესაბამისად, ისინი წყვეტენ მიანიჭონ თუ არა ევროპული ხარისხის ნიშანი. იმ შემთხვევაში, თუ პროექტს ევროპული ხარისხის ნიშანი მიენიჭება, მას შეუძლია მონაწილეობა ყოველწლიურ საპრიზო კონკურსში, სადაც გამოვლინდება წლის საუკეთესო პროექტი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, ევროპის მასშტაბით. საბოლოოდ, უკვე შერჩეული პროექტების ავტორებს და მათ წევრ მასწავლებლებს, მოსწავლეებთან ერთად, ბრიუსელში იწვევენ ბანაკის ტიპის რამდენიმედღიან აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად.

რაც შეეხება ქართულ ენაზე განხორციელებულ პროექტებს, ისინი მონაწილეობას ვერ მიიღებენ ევროპის ხარისხის ნიშანზე და ვერც საპრიზო კონკურსში მოხვდებიან, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შიდა კონკურსი დავაწესოთ და ასე შევუფასოთ პროექტები.

– იყვენენ თუ არა ქართველი მასწავლებლები და მოსწავლეები ბრიუსელში მიწვეულები და პროექტს ინდივიდუალურად წარადგენენ თუ ჯგუფურად?

– 2015 წელს, თბილისისა და რეგიონის მასწავლებლების შერეული ჯგუფი, მოსწავლეებთან ერთად, მიწვეული იყო დაჯილდოების ცერემონიალზე ბრიუსელში, პროექტმა ევროპის მასშტაბით გაიმარჯვა.

განაცხადის გაკეთება პროექტში ჩართულ ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია, ხარისხის ნიშანსაც ინდივიდუალურად ის ერთი მასწავლებელი იღებს, რომელსაც შესაბამისი წვლილი აქვს პროექტში შეტანილი. რაც შეეხება მონაწილეობას, პროექტში რამდენიმე მასწავლებელია ერთდროულად ჩართული, ძირითადად, ორი მასწავლებელი. ბრიუსელში მიწვეული მასწავლებლებიდან ხუთივე ჩართული იყო პროექტში, მაგრამ ევროპელების გადაწყვეტილებით, რადგანაც პროექტმა გაიმარჯვა და თან პროგრამის 10 წლის იუბილე აღინიშნებოდა, ხუთივე მასწავლებელი, წახალისების მიზნით, დაჯილდოების ცერემონიალზე მიიწვიეს.

– ეროვნული ხარისხის მინიჭებისას რითი აჯილდოვებთ გამარჯვებული პროექტების მასწავლებლებს? რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს მასწავლებელს პროექტში მონაწილეობამ?

– ვცდილობთ სპეციალური პრიზები ყოველწლიურად დავაწესოთ, მაგალითად, შარშან მასწავლებლები ლეპტოპებით დავაჯილდოვეთ. ჩართულობა ყოველწლიურად იზრდება და არ ვიცი რამდენად შევძლებთ მსგავსი საჩუქრებით მათ დაჯილდოებას, თუმცა, წახალისებას აუცილებლად შევეცდებით.

პროექტში მონაწილეობას მრავალმხრივი სარგებელი მოაქვს მასწავლებლებისთვის. პირველ რიგში, ისინი თანამშრომლობენ სახვადასხვა საგნის მასწავლებლებთან და მულტიკულტურულ ჯგუფებთან, ურთიერთობა უწევთ ევროპელ კოლეგებთან. ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობს როგორც ენობრივ კომპეტენციებს, ისე ისტ უნარების განვითარებას. რადგან პროგრამის მთავარი სამუშაო სივრცე ელექტრონული პორტალია, ნებისმიერი აქტივობა, რასაც ისინი პროგრამის ფარგლებში შეასრულებენ, უნდა ატვირთონ პორტალზე. ეს კი გარკვეული უნარების ცოდნას, სხვადასხვა ონლაინ ინსტრუმენტების ფლობას მოითხოვს. რაც უფრო მრავალფეროვნად და კარგად წარმოაჩენენ მასწავლებლები განხორციელებულ აქტივობებს, მით უფრო მომზიდველი და საინტერესონი არიან შემდგომი თანამშრომლობისთვის და უფრო იოლად პოულობენ უცხოელ პარტნიორებს.

– არის თუ არა რაიმე შეზღუდვა პროექტის ხარისხის ნიშანზე წარსადგენად?

– შეზღუდვა და ლიმიტი არ არსებობს. ნებისმიერს, ვინც განახორციელებს პროექტს, შეუძლია განაცხადის გაკეთება, მათგან ირჩევა საუკეთესო. ევროპის პრიზიორობას საერთაშორისო ჟიური წყვეტს, თუმცა, ალბათ, იღბალიც საჭიროა, რადგან ძალიან ბევრი კარგი პროექტია ხოლმე წარდგენილი, მათგან ვიღაცას უფრო მეტად უმართლებს, ვიღაცას – ნაკლებად.

– არის თუ არა პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა შეზღუდული და იზრდება თუ არა პროგრამისადმი ინტერესი?

რაც შეეხება ინტერესს, დღითი დღე იზრდება. ყოველდღიურად ვიღებთ წერილს ან სატელეფონო ზარს, რომ პროგრამაში ჩართვა სურთ. აქამდე გვქონდა გარკვეული კვოტა – 350 მასწავლებელზე მეტის ჩართვა არ შეგვეძლო. 2017 წლიდან კვოტაც იხსნება და, ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, შეგვიძლია გავზარდოთ მასწავლებელთა რაოდენობა, მეტ მასწავლებელს მივცემთ პროგრამაში ჩართვის საშუალებას. ვინც უკვე ჩართულია და აქტიურად ინარჩუნებს ამ პოზიციას, რჩება პროგრამის მონაწილედ, მაგრამ თუკი ახორციელებს აქტივობებს, რომელსაც პორტალის მონიტორინგის დროს ვხედავთ, მაშინ მას ახალი მასწავლებლით ვანაცვლებთ.

– eTwiningPlus-ში მონაწილეობა, ხარისხის ნიშნის მოპოვების გარდა, სქემის ფარგლებში კრედიტ-ქულებით ფასდება. განაპირობებს თუ არა ხარისხის ნიშანი კრედიტ-ქულების მინიჭებას?

– eTwiningPlus-ში მონაწილეობისას მასწავლებლები, სქემის ფარგლებში, კრედიტ-ქულებს აგროვებენ, პროგრამაში მონაწილეობით მასწავლებელს შუძლია მოიპოვოს 2 კრედიტ-ქულა. შესაძლოა, პროექტმა ვერ მიიღოს ეროვნული ხარისხის ნიშანი ან შეიძლება სულაც არ წარადგინონ ხარისხის ნიშანზე, მაგრამ მან კრედიტ-ქულა მაინც მოიპოვოს. პორტალზე ვნახულობთ, თუ რა აქტივობა აქვს განხორციელებული მასწავლებელს პროექტის ფარგლებში ან აქვს თუ არა მონაწილეობა მიღებული კონფერენციაზე, როგორც მომხსენებელს ან მოსმენილი აქვს 25-საათიანი სატრენინგო კურსი, რომელსაც მასწავლებლის სახლი სთავაზობს – ამის მიხედვით მათ 2 კრედიტ-ქულა ენიჭებათ. წელს ქულები პირველად მივანიჭეთ, 2016 სასწავლო წლის ბოლოს, ივნისში 100-მა მასაწავლებელმა მიიღო 2 კრედიტ-ქულა. იმისთვის, რომ მასწავლებელმა მსგავს აქტივობაში შემდეგ წელსაც მიიღოს კრედიტ-ქულა, აუცილებლად ახალი პროექტი უნდა წარადგინოს.

2016-2017 სასწავლო წლის ბოლოს იმ პროექტის მონაწილე პედაგოგები მიიღებენ კრედიტ-ქულებს, რომლის ინიცირებაც სექტემბერში მოხდა. რაც მთავარია, პროექტში ყველას ნამუშევარი ცალ-ცალკე ფასდება. ამდენად, პროგრამაში მონაწილეობის მოტივაცია კიდევ უფრო გაიზარდა. სქემის ფარგლებში კრედიტ-ქულების დაგროვება, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სემინარებში მონაწილეობის შესაძლებლობა და უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობა – ეს ის მთავარი სიკეთეებია, რაც eTwiningPlus-ში მონაწილე მასწავლებელმა შეიძლება მიიღოს. გარდა ამისა, პროგრამა მათ თვითსწავლებასა და პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს, მუდმივად იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას, ერთმანეთს ასწავლიან სიახლეებს – ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება, პროექტზე დაფუძნებული პრაქტიკა, ახალი მიდგომები და სხვ.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ევროპაში შექმნილი ვითარება საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია

გოეთეს ინსტიტუტმა ევროპულ მოძრაობასთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით გამოაცხადა კონკურსი – „ევროპული განგაში“ (EUROPEAN ANGST CONFERENCE). მონაწილეებს უნდა დაეწერათ ესსეები კონფერენციის თემებზე, რომლებიც ეხებოდა ევროპაში არსებულ მწვავე პრობლემებს: მიგრანტთა კრიზისს, პოპულიზმს, ექსტრემიზმსა და ევროსკეპტიციზმს. მონაწილეობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის 700-ზე მეტი აპლიკანტი, შეირჩა 40 სტუდენტი, მათ შორის ერთ-ერთი საქართველოდან. 6-7 დეკემბერს, ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე, საქართველოს სახელით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის“ ასისტენტი დიანა ხომერიკი წარდგა. კონფერენციის მიზანი იყო მანიფესტის შემუშავება ევროპის მომავალზე. კონფერენცია ასევე ითვალისწინებდა ვიზიტს ევროპარლამენტში, აქტიურ დებატებს და საკითხების სიღრმისეულ ანალიზს. კონფერენციის „ევროპული განგაში“ მონაწილეებმა შეიმუშავეს საერთო მანიფესტი ევროპის მომავალი განვითარების შესახებ, რომელიც ევროპულ სტრუქტურებს გადაეცა.

– დიანა, პირველ რიგში, გილოცავ მიღწეულ წარმატებას. მინდა მკითხველს შენ შესახებ უამბო. რომელ უნივერსიტეტში სწავლობ, რა მიმართულებით და რამდენად წარმატებული სტუდენტი ხარ?

– ვსწავლობ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ვარ მეოთხე კურსის სტუდენტი და ჩემი მიმართულებაა საერთაშორისო ურთიერთობები. ეს არის ჩემთვის ყველაზე საინტერესო სფერო. სკოლის დამთავრების შემდეგ (ოქროს მედალზე დავამთავრე 128-ე საჯარო სკოლა) დიდი სურვილი მქონდა, მესწავლა ამ უნივერსიტეტში, პირველ რიგში იმიტომ, რომ მქონოდა ინგლისურად სწავლის შესაძლებლობა. უნივერსიტეტში გატარებული პირველი დღე ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რადგან მისასალმებელ ღონისძიებაზე შემატყობინეს, რომ იმ თანხას, რომელსაც არ ფარავდა 100% სახელმწიფო გრანტი, გადაიხდიდა ჩემი უნივერსიტეტი. პირველივე დღიდან გამიჩნდა განცდა, რომ დაუღალავი შრომა ფასდება. პირველივე კურსიდან აქტიურად ჩავები სტუდენტურ ცხოვრებაში. არაერთ კონფერენციაში, დისკუსიასა და პროექტში ჩავერთე, რამაც სწავლის პროცესი მრავალფეროვანი გახადა და მომცა სტიმული მეტი მესწავლა. უნივერსიტეტის სახელით არაერთხელ ვიყავი ბევრი საინტერესო შეხვედრის მონაწილე მაღალი რანგის ადამიანებთან, ცნობილ პოლიტიკოსებთან, დიპლომატებთან და ა.შ. წელს მქონდა შესაძლებლობა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან შეხვედრაში მიმეღო მონაწილეობა. მსგავს გამოცდილებას დიდი წვლილი შეაქვს ჩემს პროფესიულ განვითარებაში. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება კი კიდევ უფრო ზრდის ჩემს ინტერესს საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიისა და პოლიტიკის მიმართ. გარდა სწავლისა, გავხდი ჩემი უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლის წევრი და ასევე წარვადგენდი უნივერსიტეტს მაგიდის ჩოგბურთის არაერთ შეჯიბრებაზე, რომლებშიც საპრიზო ადგილებს ვიკავებდი. მოკლედ, უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა სწრაფად და ნაყოფიერად ჩაიარა, ახლა კი ივნისის დამამთავრებელ ცერემონიას ველოდები.

– კონკურსმა „ევროპული განგაში“ კიდევ ერთი წარმატება მოგიტანა. გვიამბე ამ კონკურსის შესახებ, ვის მიერ იყო ორგანიზებული და რა იყო კონკურსის მიზანი?

– კონკურსი „ევროპული განგაში“, რომელიც სექტემბერში გამოცხადდა, ორგანიზებული იყო გოეთეს ინსტიტუტისა და ევროპული მოძრაობის მიერ. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადამეგზავნა სამოტივაციო წერილი და ასევე კონფერენციის ოთხი თემიდან ერთ-ერთზე დამეწერა ესსე. სულ 4 საკონკურსო თემა იყო: პირველი ეხებოდა ევროპაში ექსტრემიზმის წარმოშობის მიზეზებისა და მანიფესტაციების ანალიზს; მეორე – რასიზმსა და იმას, თუ რას ნიშნავს იყო მიგრანტი თანამედროვე ევროპაში; მესამე – ხშირად როგორ „ამახინჯებს“ რეალობას სოციალური მედია; მეოთხე თემა იმ მეთოდებს შეეხებოდა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ექსტრემიზმისა და ევროპის დისინტეგრაციის თავიდან აცილება. მე ავირჩიე თემა – „რატომ იჩინა თავი რასიზმმა და რას ნიშნავს, იყო მიგრანტი თანამედროვე ევროპაში?“ ჩემი ესსეს გაგზავნიდან რამდენიმე დღეში დადებითი პასუხი მივიღე. 700-ზე მეტი აპლიკანტიდან 40 სტუდენტი (თითო სტუდენტი თითო ქვეყნიდან) შეარჩიეს და მე ერთ-ერთი მათგანი ვიყავი. ვერ აღვწერ რამდენად გახარებული ვიყავი. პირველად მივდიოდი ევროპაში და მიხაროდა, რომ პირველი ევროპული ქალაქი, რომელშიც ჩავიდოდი, იქნებოდა ბრიუსელი – ევროპის გული.

– როგორც გამარჯვებული ესსეს ავტორი, მონაწილეობდი ამავე სახელწოდების კონფერენციაში, რომელიც ბრიუსელში ჩატარდა. გვიამბე კონფერენციის შესახებ უფრო დაწვრილებით

– 5 დეკემბერს, სრულიად უფასოდ, გავემგზავრე ბელგიაში. კონფერენცია ჩატარდა ბოზარში, ბრიუსელის ხელოვნების ცენტრში, რომელსაც ხშირად ბრიუსელის კულტურისა და არქიტექტურის მემკვიდრეობის მარგალიტს უწოდებენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ადგილის შერჩევა სიმბოლური იყო. ევროპაში არსებული პრობლემები, მიგრანტთა კრიზისი ართულებს ევროპული იდენტობის ფორმულირებას და ხშირად საფრთხეს უქმნის ევროპულ ღირებულებებს. ბოზარი კი ის ადგილია, რომელშიც ერთიანდება სხვადასხვა ევროპული ქვეყნის კულტურული მახასიათებლები და იქ ყოფნისას ჩნდება დიდი სურვილი, რომ ეს ყველაფერი შენარჩუნდეს. კონფერენციის პირველი დღე განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო, რადგან დილა ევროპარლამენტში ვიზიტით დაიწყო. პირველი დისკუსია ევროკავშირზე, მის ფუნქციებსა და მისიებზე, კერძოდ კი ევროპარლამენტის როლზე გაიმართა. მიხაროდა, როცა ვხვდებოდი, რომ მადგებოდა ყველაფერი ის, რაც უნივერსტეტში ზუსტად ამ სემესტრში ვისწავლე. ევროპარლამენტის შემდეგ ბოზარში გადავინაცვლეთ და კონფერენცია იქ გაგრძელდა. მონაწილეები 4 ჯგუფად ვიყავით დაყოფილი და თითო ჯგუფი, სპიკერებთან ერთად, განიხილავდა კონფერენციის თემებიდან ერთ-ერთს. მე კვლავ რასიზმზე ვსაუბრობდი, გავაკეთე კომენტარი მედიის არაკორექტულ და დისკრიმინაციულ პუბლიკაციებზე, რაც ხშირად იწვევს აგრესიას მიგრანტებში და კიდევ უფრო ამწვავებს გაუცხოებას ევროპულ მოსახლეობასა და ახალ მაცხოვრებლებს შორის. ყველა დისკუსია საინტერესოდ წარიმართა. მონაწილეების დიდი ნაწილი მაგისტრანტი ან დოქტორანტი იყო, ყველა მათგანი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლობს და გამოირჩევა საკუთარი მოსაზრებებითა და ცოდნით.

– დიანა, შენ იყავი საქართველოდან ერთადერთი სტუდენტი, რომელიც ევროპის მომავალზე მანიფესტის შემუშავებაში მონაწილეობდი

– დიახ, კონფერენციამდე და ასევე კონფერენციის დროს ვმუშაობდით მანიფესტზე ევროპის მომავლის შესახებ. კონფერენციის მეორე დღეს ეს დოკუმენტი გადავეცით ევროკომისიის წარმომადგენელს. როგორც კონფერენციაზე არაერთხელ აღინიშნა, ეს იყო ჩვენი, სტუდენტების ხმა, რომელზეც დამოკიდებულია ევროპის მომავალი.

კონფერენციის ჩატარებამდე, სოციალური ქსელების საშუალებით, ვმუშაობდით ამ მანიფესტის შემუშავებაზე. როდესაც ჩავედით ბრიუსელში, მაშინაც განვიხილავდით, თუ რა დაგვემატებინა და როგორ გაგვეუმჯობესებინა დოკუმენტი. გარდა საინტერესო და მწვავე დისკუსიებისა, კონფერენციის მიზანი ამ დოკუმენტის შემუშავება იყო, რადგან მასში წარმოდგენილია პრობლემების ჩვენებური ხედვა და გადაჭრის კონკრეტული გზები. ამ მანიფესტში ორმოცივე სტუდენტმა დააფიქსირა თავისი აზრი და ყველას ესსეს მცირე ნაწყვეტი შევიდა. კონფერენციის კულმინაცია კი იყო დოკუმენტის წარდგენა და გადაცემა ევროკომისრისთვის, რომელიც მიესალმება ახალგაზრდების მაქსიმალურ ჩართულობას და დიდი ინტერესით ჩაერთო ჩვენთან დისკუსიაში.

– კონფერენციისთვის შენ აირჩიე თემა – „რატომ იჩინა თავი რასიზმმა და რას ნიშნავს, იყო მიგრანტი თანამედროვე ევროპაში?“ ისაუბრე ამ საკითხის შესახებ

– ჩემს ესსეში ვისაუბრე მიგრანტთა კრიზისის ზეგავლენაზე რასიზმის წარმოშობაზე. ახლო აღმოსავლეთში არსებული დაუსრულებელი კონფლიქტის გამწვავების შედეგად მილიონობით ლტოლვილი გადაიხვეწა ევროპაში. ევროპელების დიდი ნაწილი თავშესაფრის მაძებართა ასეთ დიდ ნაკადს საფრთხედ აღიქვამს თავისი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ემიგრანტთა უმეტესობა მუსულმანია და ბევრი ფიქრობს, რომ მუსულმანი მიგრანტების რიცხვის ზრდა ტერორისტული აქტების ალბათობას ზრდის. ტერორისტული აქტები, რომლებიც განხორციელდა პარიზში, ბრიუსელში, ნიცაში და ა.შ., ისევე როგორც სექსუალური დანაშაულები, ამწვავებს ანტიპათიას მიგრანტთა მიმართ. ამ ყველაფერმა გამოიწვია მათ საწინააღმდეგოდ მიმართული შიში, რასიზმი და ისლამოფობია. იყო შეთავაზებები, რომელთა მიხედვითაც მიგრანტები რასისა და რელიგიის მიხედვით უნდა გადაენაწილებინათ სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ყველაფერს დაემატა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების პოზიციების გამყარება ევროპულ საზოგადოებაში. ნაციონალისტური რიტორიკით ისინი იყენებენ ამომრჩევლების შიშს, რათა მიიღონ მათი მხარდაჭერა, ცდილობენ ყველაფერი ლტოლვილებს გადააბრალონ და ამით კიდევ უფრო აღრმავებენ მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებულ უფსკრულს.

ლტოლვილები საკუთარ სიცოცხლეს რისკავენ იმ იმედით, რომ უკეთეს ცხოვრებას მიაღწევენ. ჩემი აზრით, იყო მიგრანტი ნიშნავს განვლო შეგუების რთული გზა ახალ გარემოსთან, ახალ ხალხთან, განსხვავებულ კულტურას და ტრადიციებთან. ლტოლვილები თავს დაუცველად გრძნობენ და მათი ცხოვრება შიშითა და სტრესითაა სავსე. ბევრი მათგანი დღემდე გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს და კვლავ არ იცის, როგორ გაგრძელდება ცხოვრება მომავალში.

ჩემი აზრით, ქსენოფობიისა და დისკრიმინაციული დამოკიდებულებების წინააღმდეგ საბრძოლველად, პირველ რიგში, ცნობიერების ამაღლება და განათლებაა საჭირო. ევროპული ქვეყნების მოქალაქეებმა მეტი უნდა გაიგონ ევროპული კონტინენტის ახალ მაცხოვრებლებზე; ახალი ერთობლივი პროექტები, რომლებიც ორივე მხარის ჩართულობას ითვალისწინებს, გაზრდის კომუნიკაციას მათ შორის და ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებასა და ლტოლვილების ინტეგრაციას ევროპულ საზოგადოებაში.

– რით იყო მნიშვნელოვანი კონფერენციაში მონაწილეობა? გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილებები...

– პირველ რიგში, კონფერენციის თემატიკით დავინტერესდი. პოპულიზმმა, ექსტრემიზმმა და ევროსკეპტიციზმმა მოიცვა თანამედროვე ევროპა და შექმნა შიშის, სიძულვილის, აგრესიის ატმოსფერო. ზუსტად ამ მწვავე საკითხებზეა დამოკიდებული ევროპის მომავალი. ამიტომ მათი განხილვა ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე, საქართველოს პროევროპული პოლიტიკური კურსისა და ევროკავშირში გაწევრიანების მიზნის გათვალისწინებით, ევროპულ კონტინენტზე არსებული სიტუაცია საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. კონფერენციაში მონაწილეობამ მომცა შესაძლებლობა, მიმეღო მეტი ინფორმაცია ბევრ საკითხზე და ასევე გამომეყენებინა ჩემი ცოდნა დისკუსიებსა და მანიფესტზე მუშაობისას. გარდა ამისა, ყოველთვის მიმიწევს გული საერთაშორისო კონფერენციებისკენ. ყველა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენელს თავისებური ხედვა აქვს, ეს კი კონფერენციას განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის. აღფრთოვანებული დავრჩი კონფერენციის სპიკერებით, სტუდენტებით და გარშემომყოფი საზოგადოებით, მათი მოწესრიგებულობით, სითბოთი და ყურადღებით. ასე რომ, ეს კონფერენცია ჩემთვის ყველანაირად ნაყოფიერი გამოდგა.

– დიანა, შენ ასევე მონაწილეობდი არაერთ საინტერესო კონფერენციაში, განსაკუთრებით რომელს გამოარჩევდი?

– იმისდა მიუხედავად, რომ ყველა კონფერენცია თავისებურად საინტერესო და გამორჩეულია, ორ კონფერენციას გამოვყოფდი. პირველის სათაურია „პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემო შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში 2014-2015 წლებში“. ეს კონფერენცია ჩემს უნივერსიტეტში არსებულმა შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური კვლევების ცენტრმა ჩაატარა. მონაწილეებს საინტერესო და ღრმა ანალიზის მქონე მოხსენებები ჰქონდათ. მე წარვადგინე თემა „რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში“. კონფერენცია გამორჩეული იმით იყო, რომ ჩემი ნაშრომი გამარჯვებულად დასახელდა.

მეორე კონფერენცია ჩატარდა ბათუმში, ამა წლის ივლისში. გავიმარჯვე საქართველოს კანცელარიის მიერ გამართულ კონკურსში და ვიყავი 4 სტუდენტიდან ერთ-ერთი, რომელიც აირჩიეს კონფერენციის ინტერნად, ეს კი გულისხმობდა როგორც ორგანიზაციულ საკითხებში ჩართვას, ასევე დისკუსიებში მონაწილეობას. ეს იყო საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სამინისტროსა და ორგანიზაცია GLOBSEC-ის მიერ. კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი, მინისტრები, დიპლომატები, პოლიტიკოსები, წარმომადგენლები ევროკავშირიდან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. მივიღე კონფერენციის ორგანიზების გამოცდილება. ასევე განსაკუთრებით საინტერესო იყო კონფერენციის მონაწილეებთან ურთიერთობა, რადგან იქ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ზუსტად ჩემს სფეროში მუშაობენ წარმატებით, მათი გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა პოლიტიკური საკითხის განხილვა მოტივაციის მომცემი იყო ჩემთვის.

ესაუბრა მაკა ყიფშიანი

იუბილე

ობუჯის სკოლა 120 წლისაა

განათლებას საქართველოში ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები წერდნენ კოლხეთის უმაღლესი სკოლების შესახებ. ფაზისის აკადემიაში ბერძნებიც კი ჩამოდიოდნენ განათლების მისაღებად.

ქვეყანა, როგორც კი ძლიერდებოდა, ქართველი მეფეები, უწინარეს ყოვლისა, მომავალი თაობის განათლებისთვის იღვწოდნენ.

სოფელი ობუჯი არა მარტო წალენჯიხის რაიონში, არამედ მთელ საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი სოფელია. ობუჯი განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგარა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში. ამას ადასტურებს სოფელში საეპისკოპოსო კათედრალის არსებობა, რომელსაც ექვემდებარებოდა ზემოსამეგრელოს ეკლესიები. აქაური ეპისკოპოსი „ობუჯელად“ იწოდებოდა. კათედრალი VIII-XI საუკუნეებში წალენჯიხაში გადაუტანიათ.

თუმცა რაიმე სასწავლებლის არსებობის კვალი ისტორიულ წყაროებში ვერ მოვიპოვეთ. სავარაუდოა, რომ საეპისკოპოსო კათედრალთან უცილობლად იარსებებდა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც ობუჯში სკოლის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ.

1896 წელს, სოფლის ინტელიგენციის მოწვევით, სკოლა გახსნა საჩინოელმა 19 წლის ჭაბუკმა **იაკობ ფიფიამ**.

თავდაპირველად, სკოლა **ტერენტი შენგელაიას** ოჯახში იყო, მაგრამ რადგანაც მსურველთა რიცხვი ყოველდღე მატულობდა, ოთახები კი არ იყო საკმარისი, **ბიჭია შენგელაიამ** (ცნობილი მეცნიერის, ისტორიკოსის, ობუჯელი შოთა მესხიას ბიძა) საკუთარ სახლში, 3 წლის განმავლობაში, 4 ოთახი დაუთმო. 1912 წელს სკოლას უკვე ჰქონდა საკუთარი ხის შენობა, რომელიც 6 ოთახისგან შედგებოდა, რომელიც იმ ეზოში მდებარეობდა, სადაც შემდეგში, 1996 წლამდე, ფუნქციონირებდა.

რევოლუციამდე სკოლაში ხუთი „ადელენია“ (ჯგუფი) იყო.

1926 წელს, დაწყებითი სკოლის ბაზაზე, გაიხსნა V კლასი, შემდეგ დაემატა VI და VII კლასები.

1939 წელს შვიდწლედი საშუალო სკოლად გადაკეთდა.

1942 წელს ობუჯის საშუალო სკოლამ სრული კურსის პირველი გამოშვება იზეიმა, სკოლა დაამთავრა 17-მა ახალგაზრდამ.

1966 წელს სკოლამ არსებობის 70 წლისთავი იზეიმა და ექსპლუატაციაში შევიდა ახალი, კაპიტალური, ორსართულიანი შენობა, 18 საკლასო ოთახით.

1984 წელს, სახელოვანი თანამემამულის, ლეო ქიაჩელის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლას მწერლის სახელი მიენიჭა.

1996 წელს, 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სკოლა გადავიდა ახალ, სამსართულიან შენობაში, რომლის რემონტიც გერმანულმა ორგანიზაციამ დააფინანსა.

2010 წელს სკოლას მიენიჭა რაიონის ტრაგიკულად დაღუპული გამგებლის, სიკვდილის შემდეგ ქვეყნის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დაჯილდოებულის, ამ სკოლის კურსდამთავრებულის, **გია მებონიას** სახელი.

სკოლის პედკოლექტივი ყოველთვის ცნობილი იყო რაიონში. აქ მასწავლებლებად უმუშავიათ რესპუბლიკაში ცნობილ პიროვნებებსაც: ევსევი ჩიქვანაიას (სამოქალაქო ომის გმირი), დანიელ ფიფიას (რეპრესირებული პოეტი), ალექსანდრე მესხიას (ფილოსოფოსი), ოლია კაკაჩია-სოსელიას (პროფესორი), ელენე ჭეიშვილს, ვერა ჯალაღონიას, ალექსანდრე სონგულიას, ვლადიმერ ჩიქობავას, ფუფულ ლაგვილავას (რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლები), მამია კაკაჩიას (რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი), ვახტანგ ხარჩილავას (პოეტი), ჭიჭიკო ურიდიას (ღირსების ორდენის კავალერი).

დღესაც მოსწავლეთა სწავლა-აღზრდას ემსახურება ძლიერი, შეკრული კოლექტივი, რომელიც მხარს უბამს დროის მოთხოვნებს.

სკოლის კედლებში აღზრდილი უამრავი ახალგაზრდიდან ძალიან ბევრმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი მშობლიურ სოფელს. ამ სკოლის აღზრდილები არიან: დანიელ ფიფია (რეპრესირებული პოეტი); გრიგოლ საჯაია (იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი, დამსახურებული ჟურნალისტი); ოლია კაკაჩია-სოსელია, ჯემალ მებონია, რამაზ მესხია, ლანა მზარელუა (პროფესორები); ნიკოლოზ კაკაჩია (ლოტბარი, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); მარგო ფონიავა, ნოდარ მებონია, დავით ქებურია (დოცენტები); მარიამ გიგიბერია, ლეონტი კილავა (სოციალისტური შრომის გმირები); მამია კაკაჩია (დამსახურებული ბიბლიოთეკარი), ჟორა მზარელუა (ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში); ვახტანგ ხარჩილავა, ვახტანგ გულუა, დარვინ მესხია, რამინ საჯაია (პოეტები), გრიშა ფიფია, ჯანიკო ფურთუხია (მხატვრები), გიორგი მებონია (წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენის კავალერი), ორდენ დავით მესხიები (ღირსების ორდენის კავალრები), ბევრი წარჩინების ატესტატის, ოქროსა თუ ვერცხლის მედლის მფლობელი. დღესაც სკოლას არა ერთი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ სახელოვან ტრადიციებს. ობუჯელები მნიშვნელოვან კვალს ტოვებდნენ, ტოვებენ და დატოვებენ ქვეყნის ისტორიაში.

ობუჯის სკოლაში წელს 120-ედ დაირეკა სწავლის დაწყების მაუწყებელი ზარი. 2016 წლის 4 დეკემბერს ობუჯის თემის №1 საჯარო სკოლაში დიდი ზეიმით აღინიშნა 120 წლის იუბილე და გაიმართა ამ თარიღთან დაკავშირებით გამოცემული წიგნის „სამცაცხვის ფოთლებზე დაწერილი დღიურები“ (ავტორები – ამავე სკოლის პედაგოგები და აღზრდილები: მანანა კაკაჩია და ვალერ ძაძამია) პრეზენტაცია.

წიგნში მოთხრობილია სკოლის გახსნის დღიდან დღემდე მნიშვნელოვან მოვლენებზე, სკოლის ხელმძღვანელებზე, მასწავლებელთა გარკვეულ ნაწილზე, სკოლის სასახელო აღზრდილებზე, ობუჯელთა გენის მატარებელ ადამიანთა გარკვეულ ნაწილზე, ახლანდელ საიმედო ცვლაზე, სკოლის წლებში გარდაცვლილ მოსწავლეებზე. გამოქვეყნებულია მდიდარი ფოტომასალა

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი **ბესიკ ფარცვანია** და მისი მოადგილეები; საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ლირა ღურწკაია**, სკოლის კურსდამთავრებულები, ერთ-ერთი ყოფილი დირექტორის ქალიშვილი **ლიანა ნაჭყებია**.

მანანა კაკაჩია

ინფორმაცია

2025 წელს ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველას

გაიმართა ინკლუზიური განათლების მესამე საერთაშორისო კონფერენცია „2025 წელს ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველას“. ის მიეძღვნა განათლების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე ინოვაციურ მიდგომას, რომელიც გულისხმობს გაცილებით მეტს, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობაა. ინკლუზიური განათლება წარმოადგენს კარგად დაგეგმილ, ინდივიდის საჭიროებაზე მორგებულ პროცესს, სადაც ყველა პირი მონაწილეობს და საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმს აღწევს.

კონფერენცია მიზნად ისახავდა, ინკლუზიური განათლების მიმართ ინტერესის მქონე საზოგადოებისა და დარგის პროფესიონალებისათვის, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური პროფესიული განათლების მიღწევებისა და გამოწვევების გაცნობას. ამავდროულად, კონფერენციაზე ის მიზნები წარადგინეს, რომლის მიღწევაც სამინისტროს განსაზღვრული აქვს 2025 წლისათვის ინკლუზიური განათლების განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველომ 2006 წლის გაეროს შშმ პირთა უფლებათა კონვენციის რატიფიცირება განახორციელა და, შესაბამისად, აიღო ვალდებულება, გაატაროს პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია დაიცვას შშმ პირების უფლებები და შექმნას თანაბარი შესაძლებლობები.

ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესის შეფასება განახორციელა ორმა ევროპულმა უნივერსიტეტმა – ნორვეგიის ჰედმარკის და ბრიტანეთის ნორთჰემპტონის უნივერსიტეტების მკვლევრებმა. კვლევა მოიცავდა ყველა რგოლს – როგორც პრაქტიკაში ჩართულ პირებს (პედაგოგები, სტუდენტები, სპეციალისტები), ასევე პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვადასხვა უწყებებს. კონფერენციაზე წარადგინეს ობიექტური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შედეგები, რაც წარმოადგენს საუკეთესო პლატფორმას განვლილ პროცესზე რეფლექსიისთვის და მომავლის დაგეგმვისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის მიმართულებით საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული პარტნიორია ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტრო, რომლის აქტიური მხარდაჭერით დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა ზოგადი განათლების საფეხურზე და გაგრძელება ჰპოვა პროფესიული განათლების სისტემაში.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„ყველა მიმართულებით ძალიან სერიოზული გამოწვევებია ჩვენ წინაშე. მოგეხსენებათ, რომ ბოლო წლების განმავლობაში, პირველად, შევთავაზეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სკოლებშიც და პროფესიულ სასწავლებლებშიც, ინკლუზიური სწავლების სერვისები, რომლებიც მანამდე არ არსებობდა და ამიტომ, სულ უფრო მეტი ოჯახი და სულ უფრო მეტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე მიმართავს სკოლას. დროთა განმავლობაში, მათი რაოდენობა იზრდება, რაც, თავისთავად, კარგია, თუმცა, ერთგვარი გამოწვევაა ჩვენთვის იმიტომ, რომ მეტი სპეციალური მასწავლებელი უნდა უზრუნველვყოთ, უკეთესი პირობები, უფრო მაღალი კვალიფიკაცია, უფრო მაღალი ხარისხი ადაპტაციის, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან სამუშაოდ უფრო მეტი კვალიფიკაცია ჩვეულებრივი, არა სპეცმასწავლებლების და ასევე, არის კულტურული საკითხებიც – როგორ ურთიერთობს საზოგადოება, მათ შორის სასკოლო საზოგადოება და როგორი დამოკიდებულება აქვს ინკლუზიის მიმართ, აქაც ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს.*

ჩვენი ევროპელი კოლეგების მხარდაჭერით და მათთან მჭიდრო კოოპერაციით, შევეცდებით, შემდეგ რამდენიმე წელიწადში მნიშვნელოვნად მივუახლოვდეთ ევროპულ სტანდარტებს, ყველა მიმართულებით.“

მარიამ ჯაში, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე: *„ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, გაეროს ბავშვთა ფონდის როგორც ბავშვთა უფლებათა კონვენციის ინპლემენტაციის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დაცვის კონვენციის დანერგვის თვალსაზრისით. ბოლო ათი წლის განმავლობაში, 1200-ზე მეტი სკოლა ჩაერთო ინკლუზიური განათლების სისტემაში, 7000-ზე მეტი მოსწავლეა ჩართული და, პროფესიული განათლების დონეზე, 680-ზე მეტი სტუდენტია გადამზადებული ინკლუზიური განათლების პროგრამების ფარგლებში. თუმცა, გამოწვევები, რა თქმა უნდა, რჩება. ჩვენ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გავაკეთოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებზე და, ამ მხრივ, საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, საკანონმდებლო ორგანოს კუთხით. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ განათლების თითოეული ეტაპი, სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული უმაღლესი განათლების საფეხურის ჩათვლით, იყოს ინკლუზიური და ხელმისაწვდომი თითოეული ბავშვისთვის და სტუდენტისთვის.“*

პედაგოგთა დასახმარებლად

მარინე დემეტრაშვილი

სამოქალაქო განათლება

არასამთავრობო ორგანიზაციები

გაკვეთილის მიზნები:

- არასამთავრობო ორგანიზაციების არსის, მიზნებისა და ფუნქციონირების თავისებურებების გაცნობა;
- საზოგადოებრივი მოსმენის არსის გაცნობა;
- მოსწავლეთა ჩართვა მოდელირებულ სიტუაციაში;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარება.

ამ გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

- გაიგონ, რა არის არასამთავრობო ორგანიზაცია;
- იმსჯელონ არასამთავრობო ორგანიზაციების მიზნების შესახებ;
- განსაზღვრონ პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის საშუალებები;
- განივითარონ მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის უნარი.

გაკვეთილის გეგმა

- გონებრივი იერიში;
- განმარტებები;
- საზოგადოებრივი მოსმენა;
- გაკვეთილის შეჯამება.

დაუსვით მოსწავლეებს კითხვები:

- რომელ არასამთავრობო ორგანიზაციებს იცნობთ?
- რა მიზნები აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს?
- რატომ უწოდებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს მესამე სექტორს?
- განუმარტოთ მოსწავლეებს: რას გულისხმობს არასამთავრობო ორგანიზაცია და რა დამახასიათებელი თვისებები აქვს მას.

დაფაზე ჩამოვწეროთ თეზისები შემდეგი სახით:

რა თავისებურებები აქვს არასამთავრობო ორგანიზაციას?

- ფორმალურად, ოფიციალურად არის დაფუძნებული;
- არასამთავრობოა;
- არ არის ორიენტირებული მოგების მიღებაზე;
- დაფუძნებულია თვითმმართველობის პრინციპებზე;
- ფართოდ იყენებს მოხალისეთა შრომას;
- არის საზოგადოებრივად სასარგებლო;
- ნებაყოფლობითია, დამოუკიდებელი და აქვს მოქმედების საკუთარი პროგრამა;
- არსებობს დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

შემდეგ ხდება საზოგადოებრივი მოსმენა:

- მოვიწვიოთ წარმომადგენელი ადგილობრივი ხელისუფლებიდან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან;
- განვმარტავთ, რომ საკრებულომ უნდა მიიღოს ბიუჯეტი მომავალი წლისთვის, რომელიც ორიენტირებული იქნება ქალაქში ან სოფელში არსებული პრობლემის გადაჭრაზე.

მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად:

- I ჯგუფი ქალაქის ან სოფლის საკრებულოს წარმოადგენს;
- II ჯგუფი განათლების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენს;
- III ჯგუფი მედიცინის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენს;
- IV ჯგუფი იურიდიულ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენს.

გამოსვლების დამთავრების შემდეგ საკრებულოს წევრები აანალიზებენ გამოთქმულ მოსაზრებებს და აცხადებენ, რა პრობლემების გადასაჭრელად დაიხარჯება ქალაქის ან სოფლის ბიუჯეტი; უნდა ჩატარდეს კენჭისყრა პირველადი მნიშვნელობის საკითხების შესარჩევად.

გაკვეთილის შეჯამება

პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

- რა გავაკეთეთ დღეს გაკვეთილზე?
- რა დასკვნები გამოვიტანეთ მეცადინეობის შედეგად?
- კიდევ რა ფორმით შეიძლება იმოქმედონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა?
- რამდენად მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოებისთვის?

სასკოლო აქტივობა

მუხრან მაჭავარიანის სალამო

მუხრან მაჭავარიანი... ქართული პოეზიის რაინდი, ქართული სიტყვის მეხოტბე, ძარღვიანი ქართულით მოლაპარაკე... კაცი, რომელმაც პოეზიის მარგალიტები უხვად მიმოაბნია საქართველოში.

საუკუნეების შემდეგაც სიამაყით გაიმეორებს ქართველი კაცი მისი გულის ფესვიდან ამოტყორცნილ სტრიქონებს:

ათეული წლების წინ, საბჭოთა იმპერიის ზეობის ხანაში მცხოვრებ ქართველობას ქართული საქმის სადიდებლად მომართავდა. სიმართლის მსახურება მუხრან მაჭავარიანის ცხოვრების კრედო იყო ყოველთვის.

მართალი სიტყვის მსახური ამ გზაზე არავის და არაფერს უშინდებოდა. სათქმელს გამორჩეულ ფორმას მოუძებნიდა, ისე ამოთქვამდა, სხვა რომ ვერასოდეს იტყოდა:

„კი მაგრამ ღმერთი აღარაა? ბნელა?
თუ ბნელა, კი-ბატონო, მაგრამ მზე როა?!“

დიახ, ბნელს ანათებდა მუხრანის ლექსი, სწორედ მისმა სიტყვამ და ხმამ (მასში „ერთი მისხალი, რომ არ არის სხვისი“, ისეთმა) წარმოშვა ზეობის საქართველო – თავისუფალი საქართველო.

საშვილიშვილო საქმე გაკეთდა საჩხერეში მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმის დაარსებით. ამ დიდებულ ადგილს ხშირად ვსტუმრობთ საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლიდან (დირექტორი – **ბერიკა დეკანოიძე**), ვახორციელებთ სხვადასხვა სახის ლიტერატურულ პროექტებს, ვატარებთ ღია გაკვეთილებს. აქ წარმოთქმულ სიტყვას თავისებური ლაზათი აქვს.

თითქოს, დიდი პოეტის რაინდული სული ჩვენთანაა და ხარობს ქართველი გოგო-ბიჭების ჟრიამულით, ცეცხლოვანი ქართული ცეკვით, ჟრუანტელის მომგვრელი ქართული სიმღერით. წინაპრების მიერ გახედნილი ქართული სიტყვა გამორჩეულ ხიბლსა და ეშხს მატებს მუხრანის ულამაზეს კარ-მიდამოს. სახლ-მუზეუმს დიდებული მცველი ჰყავს **გიორგი იაშვილის** სახით. მუხრანის ნათლულს ძალიან ბევრი საინტერესო ამბები აქვს პოეტზე მოსათხრობი. მოსწავლეები აგროვებენ მასალებს პოეტის შესახებ. მათი ძალისხმევით მომზადდა მშვენიერი საღამო, რამაც აღაფრთოვანა მაყურებელი.

5 დეკემბერს, საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, შემოქმედებითი წრისა და მხატვრული კითხვის წრის წევრთა ძალებით, გრანდიოზული საღამო გაიმართა. სცენა საგანგებოდ იყო მორთული, ერთმანეთს სცვლიდნენ ნორჩი დეკლამატორები: **ლალიტა კვიჟინაძე** და **ქრისტინე ჭიღლაძე, გიორგი მაჭავარიანი** და **მარიამ დეკანოიძე, ნიკო სადუნიშვილი** და **გიორგი ბუზალაძე, დავით** და **მარიამ დეკანოიძეები, ნუცა ნოზაძე** და **გიორგი შუბითიძე, ნინო** და **ნიკა კაპანაძეები, მარიამ გიორგაძე, ოთარ და ნოდარ ივანიშვილები, ტატო** და **ნათია ტოგონიძეები, ზვიად სამყურაშვილი** და **გიორგი ჭიღლაძე, ანა კუსიანი, ლუკა რიკაძე** და სხვ.

მუხრანის ტექსტზე შექმნილი სიმღერებით საღამო დაამშვენეს **გაგა გულიაშვილმა, ინგა მოსიაშვილმა** და **მანანა აბრამიშვილმა**.

საჩხერელ მაყურებელს დიდხანს, დიდხანს გაჰყვება ამ მშვენიერი დღით მიღებული ღრმა შთაბეჭდილება. მარტო დარბაზში კი არა, ყველა მაყურებლის გულში ბრწყინავდა ცეცხლოვანი, მუხრანული ქართული სიტყვა!

ნუნუ გოგოლიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საჩხერის საპატიო მოქალაქე

სასკოლო აქტივობა

ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“

2016 წელი საერთაშორისო ორგანიზაცია იუნესკომ შოთა რუსთაველის საიუბილეო წლად გამოაცხადა. მიიწურა წელიწადი და არც პომპეზურად, არც ნაკლებ მასშტაბურად და არც ორიგინალურად ან მოკრძალებულად არ აღნიშნულა დიდებული მგოსნის საიუბილეო 850 წელი. ნუთუ აღარ არის პოპულარული და აქტუალური „ვეფხისტყაოსნის“ იდეალები?! ნუთუ დაკარგა პოემის სიბრძნემ ფასი?! იქნებ აღარ ჟღერს თანამედროვედ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია?!“ ან ტარიელისა და ავთანდილის მიჯნურობა, რაინდობა და თავგანწირვა მოძველდა და მიეცა დავიწყებას?! ვაითუ რუსთაველის ნაცვლად თანამედროვე თაობა მართლა „ანტიტყაოსანს“ კითხულობს და მისით საზრდოობს?!

ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**), 15 დეკემბერს ჩატარებულმა საღამომ ნამდვილად მოლოდინს გადააჭარბა და ყველა სკეპტიკოსი დაარწმუნა, რომ რუსთველი და მისი გენია დღესაც ისევე ახსოვს და ეძვირფასება ახალ თაობას, როგორც წლების წინ აფასებდა და ხელიხელ საგოგმანოდ ინახავდა ძველი თაობა. შოთა რუსთაველი იყო და მუდამ იქნება ყველაზე თანამედროვე პოეტი პოეტთა შორის, ყველაზე ბრძენი ბრძენთა შორის და ყველაზე დიდებული მსოფლიო ადამიანი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის (იდეის ავტორი და კათედრის ხელმძღვანელი – **ირმა სამხარაძე**) მიერ ინიცირებულ პროექტში „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“, ერთი თვის განმავლობაში, ჩართული იყვნენ IX, X, XI კლასების მოსწავლეები. აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის, ესთეტიკის, უცხო ენების კათედრები – **ნანა აბრამიშვილი, სალომე ასანიძე, ნინო გიორგობიანი, ფატმან მუსელიანი, ქეთი ქათამაძე, მერი ბადალაშვილი, ნათია კაპანაძე, კარინა ბაბაიანი, ფირანგიზ გაჯიევი, ელისო გუგულაშვილი**. მეცხრე კლასის მოსწავლეებმა ძალიან საინტერესოდ გააცოცხლეს თინათინის გამეფების ეპიზოდი (პედაგოგი – **თამარ ტალახაძე**). აღსანიშნავია, რომ სკოლა არის ქართულ-რუსული და არაქართველი ბავშვები, ქართველ თანატოლებთან ერთად, ისე კარგად, დახვეწილად მეტყველებდნენ, ისე გააზრებულად და დამაჯერებლად ყვებოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს, იმედი დაგვიბრუნდა, რომ მომავალი თაობები კვლავაც შეუნარჩუნებენ მსოფლიოს ამ დიდ საგანძურს. ბავშვებმა ისაუბრეს პოემის ილუსტრატორთა შესახებ, ასევე გამოიკვლიეს თარგმანები. წაიკითხეს პოემის ნაწყვეტები სომხურ, გერმანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. წარმოადგინეს კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები, ნახატები, ხელნაკეთი წიგნები. ასევე მომზადდა საიუბილეო ჟურნალის სპეციალური გამოშვება, რომელშიც თავი მოიყარა რუსთაველის თემაზე შექმნილმა ესეებმა, მინიატურებმა, ლექსებმა... მოზარდებმა იმსჯელეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რენესანსულ სულისკვეთებასა და იდეებზე, ჩაატარეს კვლევა – „ვეფხისტყაოსანი“ დღეს. კვლევის შედეგების მიხედვით, პოემის ავტორსა და ნაწარმოებს გამოკითხულთა უმრავლესობა იცნობს, უმეტესობას მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა აუცილებელია, მხოლოდ მცირე ნაწილი არ ემხრობა აფორიზმების ზეპირად სწავლას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მაჟორიტარი დეპუტატის ბექა ოდიშარიას ბიუროს ხელმძღვანელი **თემურ გორგაძე** და კრწანისის რაიონის გამგეობის თანამშრომელი **ლევან ხრიკული**; ასევე კოლეგები 65-ე, 144-ე და მე-9 საჯარო სკოლებიდან, სკოლის დირექციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები. საღამო გააშუქა სატელევიზიო არხმა „ერთსულოვნება“. როგორც მოსწავლეთა უმეტესობამ აღნიშნა, ამ პროექტში ჩართულობამ მათ ძალიან დიდი გამოცდილება შესძინა, უკეთ გაიაზრეს ეპოქის კულტურული ღირებულებები, რუსთაველის იდეალების მაგალითზე, გაიღრმავეს საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები და კრიტიკული აზროვნება, ასევე გაიუმჯობესეს შემოქმედებითი მიდგომა საკითხისადმი. დამსწრე სტუმრებმა საღამო შეაფასეს, როგორც ქალაქ თბილისის 72-ე საჯარო სკოლის კიდევ ერთი წარმატებული პროექტი და მორიგი წინგადადგმული ნაბიჯი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდის საქმეში.

სკოლის დირექტორმა მადლობა გამოუცხადა როგორც ზემოთ ჩამოთვლილ პედაგოგებს, აგრეთვე აქტივობებში განსაკუთრებულად გამორჩეულ და შემაჯამებელ ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეებს: XI კლასი – **მარიამ გაბაშვილს, ლიკა ივანიაშვილს, ნინო ნატროშვილს, ნინო გამცემლიძეს, ეკა სუბელიანს, რამილა ვალიევას, ალექსანდრა კაზარიანს, ნინო კენჭაძეს**; X კლასი – **ვალერი ფონდარენკოს, ანი კაზარიანს, ანა მელქონიანს, ქრისტინე გასპარიანს, ეთერ კალანდაძეს, ქეთევან ქიმაძეს, რიგინა ალიევას, გიორგი ქარქაშაძეს**; IX კლასი – **ნატა გიორგობიანს, ნიკა აგიტიანს, რენატ გაჯიევს, ანა-მარია ენუქიანს, დავით ასატუროვს**.

რუსთაველი და მისი პოემა ყოველ წაკითხვაზე ახლიდან აღვიძებს მკითხველის ფანტაზიებს, ახლიდან გვითრევს იმ ჯადოსნურ სამყაროში – ქაჯეთის ციხე, სატრფოსათვის უთავბოლო ხეტიალი და უანგარო ძმადნაფიცობა რომ ჰქვია.



„ვეფხისტყაოსანი“ თითქოს „ძველ ტიკში ჩასხმული ახალი ღვინოა“, რომელიც რაც დრო გადის და ძველდება, მით უფრო დიდებულ გემოს იძენს და საამო დასალევია. *„რუსთაველზე აღზრდილ ქართველობას არასოდეს დაავიწყდება „ვეფხისტყაოსნის“ იდეალები*, – წერდა არტურ ლაისტი.

ქეთევან ქათამაძე
სსიპ ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ინფორმაცია

კულტურა და შემოქმედებითობა

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის ეგიდით, ფართომასშტაბიანი ფორუმი გაიმართა სახელწოდებით: „კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისათვის“.

საერთაშორისო ფორუმი მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ, ამასთან, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, შემოქმედებითი სექტორისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირებას.

ფორუმის ფარგლებში, ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს სექტორის განვითარების ძირითადი ტენდენციები და წარმატებული გამოცდილება. გაიმართა პრეზენტაციები, სემინარები და დისკუსიები ისეთ თემებზე, როგორიცაა განათლების და ახალი ტექნოლოგიების როლი კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში, ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განვითარების ინიციატივები, „შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზამკვლევი საქართველოში“ და სხვ.

ფორუმის ფარგლებში, დაგეგმილია აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდოვას, ბელარუსისა და საქართველოს დელეგაციათა ხელმძღვანელების მიერ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების თბილისის მანიფესტის“ მიღება, რაც ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანას შორის რეგიონულ თანამშრომლობას.

ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„შემოქმედებითი საქართველო არის შემოქმედებითი ევროპის პარტნიორი პროგრამა, რომელიც მისცემს ბიძგს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას – კინო, ტექნოლოგიები, ანიმაცია, ხელოვნების თანამედროვე ფორმები... ამ დარგების განვითარებაა შემოქმედებითი ევროპის მიზანი და ჩვენ, როგორც ევროპის ასოცირებული წევრი და, ასევე, ამ პროგრამების ასოცირებული წევრი ქვეყანა, ფეხდაფეხ მივყვებით. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან დიდი პოტენციალი აქვს საქართველოს კრეატიულ, შემოქმედებით ინდუსტრიებს და შესაძლებელია, მნიშვნელოვანი შედეგები გვქონდეს საკმაოდ მოკლე ვადაში.*

დღევანდელი ღონისძიება, ფაქტობრივად, ამ პროგრამის წარდგენაა. მე მგონია, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და შედეგიანი პროგრამა, პროდუქტების და ახალი ბიზნესების კრეატიული სტარტაპების თვალსაზრისით.“

იქნებ, აღვადგინოთ...

ალბათ გემახსოვრებათ, როგორი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, სახლმმართველობებს შორის საქალაქო და რაიონული პირველობები „ტყავის ბურთის“ პრიზზე, რომელმაც მრავალ მომავალ ვარსკვლავს დაულოცა გზა დიდი სარბიელისკენ.

გამონაკლისი არც 1974 წელი იყო. შემუშავებული სახელმწიფო პროექტის თანახმად, ტურნირის ორგანიზებაში აქტიურად იყვნენ ჩართული რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, დედაქალაქის შესაბამისი სტრუქტურები, სახლმმართველობების ხელმძღვანელები და საქართველოს „ტყავის ბურთის“ გათამაშების თავკაცი, ლეგენდარული **ბორის პაიჭაძე**.

გიორგი ბაქანიძე და თამაზ ბიჩინაშვილი

თბილისის ჩემპიონატი რვავე რაიონში (შიდა შესარჩევი თამაშები) ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა, ხოლო პირველ ადგილზე გასული გუნდები ოქროყანის სტადიონზე, წრიული სისტემით, აგრძელებდნენ ჩემპიონების გამოვლენას. იმ წელს თბილისის ჩემპიონი ლენინის რაიონის გუნდი გახდა, რომელშიც პირველ სახლმმართველობაში შემავალი ლენინის, დღევანდელი ცოტნე დადიანის ქუჩის 34-ე კორპუსში და კერძო სახლებში მცხოვრები, 1962-63 წლებში დაბადებული, მოზარდები თამაშობდნენ. გამარჯვებული გუნდის მწვრთნელი გახლდათ იმ დროს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი **ვახტანგ ბაქანიძე**. ამჟამად იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის ცენტრის თანამშრომელია, სტუდენტთა ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწეა; დავძენთ, რომ ამ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი ლენინის რაიონის კომკავშირელთა ლიდერმა **ანტონ ინგოროყვამ** და პირველი სახლმმართველობის ორგანიზატორმა, ქალბატონმა **როზა ალავიძემ** შეიტანეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი კი, შეხვედრაში გატანილი 9 გოლით, ჩემპიონი გუნდის კაპიტანი **თამაზ ბიჩინაშვილი** (ამჟამად – არქიმანდრიტი ანთიმოზი) გახდა.

1974 წლის ზაფხულში, ლოკომოტივის სტადიონზე, თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი თამაშის შესვენების დროს, ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა – **ბორის პაიჭაძემ**

პირველ რიგში სხედან, მარცხნიდან: თამაზ ბიჩინაშვილი – გუნდის კაპიტანი, მამუკა ტალახაძე, ნუკრი წიკლაური, ჰამლეტ ასლანიშვილი, მამუკა ტაბატაძე, გოჩა ძნელაძე, გიორგი მელაძე.

მეორე რიგში დგანან: ვახტანგ ბაქანიძე – მწვრთნელი, ტარიელ ღვინიაშვილი, რობერტ ბიწაძე, ზვიად დვალიშვილი, ქალბატონი როზა ალავიძე – ორგანიზატორი, ზურაბ ასლანიშვილი, ვასილ წიკლაური, დათო გოგსაძე, ზურაბ ლუარსამიძე – პირველი სახლმმართველობის სპეციალური წარმომადგენელი.

და **მიხეილ მესხმა** „ნახალოვკელთა“ გუნდი დააჯილდოვეს.

ჩვენი წერილის დასასრულს, მოკრძალებით მივმართავთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს, ხომ არ მოვიდა დრო, აღვადგინოთ „ტყავის ბურთის“ გათამაშება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ბავშვთა ფეხბურთის აღორძინების გზაზე. ცნობისთვის, მეტროს სადგურ „ნაძალადევის“ უკან მდებარე კორპუსებს შორის ორი კეთილმოწყობილი ხელოვნურსაფარიანი სტადიონი ემსახურება მომავალი თაობის დაოსტატებას. ერთი მათგანი აფხაზეთის ომში დაღუპული ტყუპების – ნუკრი და ვასილ წიკლაურების სახელს ატარებს, ხოლო მეორე – ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული გოჩა ძნელაძის.

მერიის სპორტის კვირეული

მიმდინარე კვირა თბილისის მერიის სასკოლო სპორტის კვირეულს ეთმობა, რომელსაც საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია ატარებს, ფინანსურად კი თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური უზრუნველყოფს. ესაა წლის შემაჯამებელი ღონისძიება, რომელმაც სტარტი 19 დეკემბერს აიღო და ფინიში 25-ში ექნება. მასში მონაწილეობენ თბილისის კერძო და საჯარო სკოლები.

ორგანიზატორებმა პროექტს მიზნად დაუდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება სხვადასხვა სახალისო, საინტერესო და მოსწავლე ახალგაზრდობისთვის მიმზიდველი ღონისძიებებით, რომელშიც მოზარდები აქტიურად იქნებიან ჩართული. დამფუძნებელთა სურვილია, მსგავსი კვირეული ტრადიციად აქციონ, რათა ყოველწლიურად, მეტი ახალგაზრდა იყოს ჩართული სპორტში. ამ გზით ასეთი ახალგაზრდების რაოდენობა გაიზრდება, რაც სხვადასხვა რაიონის სკოლებისა თუ მათი მოსწავლეების გაცნობა-დამეგობრების საშუალებაცაა.

პროექტი ორ ეტაპად ჩატარდება – ჯერ გაიმართება რაიონული ტურები, მერე – ფინალური შეჯიბრებები. ასპარეზობები ჩატარდება სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში, მეკლდეურობა, ფრიზბი, ბადმინტონი და გარბენი.

მარჯვედ გაცურეს

სლოვენიურ მარიბორში ჩატარებულ ახალგაზრდა მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები, რომლებიც ორ ასაკობრივ კატეგორიაში – 1999-2000 და 20001-2002 წლებში დაბადებულთა შორის ასპარეზობდნენ. უფროს ასაკში ბიჭებში **ლევან ბახტურიძემ** 50 მეტრზე ბრასით ცურვაში გაიმარჯვა, ხოლო 200-მეტრიან დისტანციაზე მესამე მივიდა ფინიშთან.

უმცროს ასაკში უფრო უკეთ გოგონები გამოვიდნენ – **მერი მუმლაძემ** ჯერ 200-მეტრიანი დისტანცია დაფარა ყველაზე სწრაფად, მერე კი აბსოლუტურში გავიდა მეორეზე. **რუსუდან გოგინაშვილი** 200 მეტრზე მხოლოდ მუმლაძეს ჩამორჩა და ვერცხლი ირგუნა, აბსოლუტურში კი მესამე იყო. ამავე ასაკის ბიჭებში 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ვერცხლი **ვლადიმერ გურგენიძემ** დაისაკუთრა.

აქვე გეტყვით, რომ უფროსები გაისად გასამართავი თანატოლთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, უმცროსები კი უნგრულ დიორში ევროპის ზაფხულის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე გამოვლენ.

ქარელი მსოფლიოს რუკაზე

13-14 დეკემბერს, კვიპროსის დედაქალაქ ლიმასოლში, ჩატარდა სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, სადაც ქართველმა მოზარდებმა 7 მედალი მოიპოვეს – 1 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. მსოფლიოს ჩემპიონი ქარელელი **თორნიკე მარგველაშვილი** (50) გახდა, ვინც ფინალში უკრაინელი **მიკოლა კულიბაბა** დაამარცხა. ჩემპიონობამდე თითო მოგება დააკლდათ **მიხეილ ბახბახიშვილსა** (66) და **ნიკა ხარაზიშვილს** (78), მესამე საპრიზო ადგილზე კი **დავით ბახბახიშვილი** (42), **ოთარ სოზიაშვილი** (72), **დიმიტრი ნასყიდაშვილი** (84) და **ალექსი სვიანაძე** (+84) გავიდნენ.

„პრომეთემ“ გაიმარჯვა

ამ დღეებში წყალტუბომ ისევ უმასპინძლა ვეტერანი ხელბურთელის, როინ მეტრეველის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ხელბურთში, რომელშიც 2000-2001 წლებში დაბადებული მოზარდები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში ძირითადად ქართული გუნდები გამოვიდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან, უცხოელთაგან კი ძველი ნაცნობი გვესტუმრა – უკრაინის ქალაქ მელიტოპოლის გუნდი. ქართულ ხელბურთს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს უკრაინულთან და მეგობრული ვიზიტებით ხშირად მიდი-მოდიან ერთმანეთში, მელიტოპოლი კი ის ერთ-ერთი ძირითადი კერაა, სადაც ხშირად ჩადიან ჩვენები. თავის მხრივ, იმათთვის არც აქაურობაა უცხო და კონკრეტულად – წყალტუბო. მელიტოპოლელები შარშანაც სტუმრობდნენ ბალნეოლოგიურ კურორტს და ეს ტურნირი მოიგეს კიდეც. მათ ურიგოდ არც წლეულს უთამაშიათ, თუმცა ამჯერად ვერაფერს გახდნენ წყალტუბოს „პრომეთესთან“ – გუნდურ ეტაპზე მათთან დამარცხდნენ და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდნენ. „პრომეთემ“ აიშვა და აიწყვიტა – უკრაინელთა გარდა,

ჯგუფში ბათუმის და თელავის გუნდებიც დაჯაბნა, ფინალში კი გორელებსაც დააყრევინა ფარ-ხმალი და ცეცხლი თუ ვერ მოიტაცა, მშობლიური ტურნირის გამარჯვებული ნამდვილად გახდა. ვერცხლის მედალი გორელებს გადაეცათ, ბრინჯაო კი, როგორც გითხარით, უკრაინაში წავიდა.

ფალავანთა ფალავანი

ერთი შეხედვით, სპორტული გმირობაა ის, რაც 17 დეკემბერს 20 წლის კასპელმა ფალავანმა **გიორგი კაციაშვილმა** გაკეთა – საქართველოს 2016 წლის აბსოლუტური ფალავანი გახდა და, სხვა არაერთ პრიზთან ერთად, ჯილდოდ თბილისში ბინაც მიიღო. მისი გამარჯვება უჩვეულოა რამდენიმე ფაქტორის გამო – ახალგაზრდაა და ჯერ არც ისე გამოცდილია, ამ რანგის მეტოქეებთან ასე უნაკლოდ იჭიდაოს; გამოდის 81 კილოგრამში, ფალავნობაზე კი მასზე ლამის 20-25 კილოგრამით მძიმეებს მოუგო, თუმცა 81-შიც ახალი გადმოსულია.

კაციაშვილს აქამდე ძირითადად ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებიდან ვიცნობდით, სადაც წლევანდლამდე 73 კილოგრამში გამოდიოდა და ახალგაზრდებში ევროპის ფინალისტობა და მესამე პრიზიორობაც მოასწრო. მან წლეულს უფროსებშიც იასპარეზა, როცა თებერვალში, ეროვნული ნაკრების ეგიდით, სოფიაში ევროპის ღია კონტინენტურ თასზე გამოვიდა, სადაც მართლაც რომ ღირსეულად იჭიდავა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. აი, ამის შემდეგ გადავიდა 81 კილოგრამში და იქაც წარმატებით ასპარეზობს.

ფალავნობაზე კაციაშვილი 80 კილოგრამში გამოვიდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა ამ წონაში, მერე კი აბსოლუტურ ფალავნობაში გადაერთო, სადაც ყველა წონითი კატეგორიის პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ჭიდაობენ. კაციაშვილმა ჯერ თავის წონაში მოუგო რამდენიმე მასზე გამოცდილსა და ძლიერ ათლეტს, ფალავნობაზე კი ჯერ 100 კილოგრამში გამარჯვებული **ლაშა ტაველური** (ეს ძიუდოშიც საქართველოს ჩემპიონია) დაჯაბნა, ფინალში კი კლასიკური ქართული ფანდით, ულამაზესი ბრუნით ბეჭებით დაანარცხა მძიმე წონის ჩემპიონი **ონისე ბულაძე**. მან სავსებით დაიმსახურა წლის ფალავანის ტიტული და ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა ამ წოდების მატარებელთა შორის. რაც მთავარია, კაციაშვილმა მაღალი დონის ჭიდაობა აჩვენა, რაც ძიუდოში დიდ მომავალს უქადის.

ქუთაისური ჰოკეი

ბოლო დღეებში ქუთაისმა წლის დამაგვირგვინებელ შეჯიბრებას უმასპინძლა – ბავშვთა 2016 წლის ფესტივალს ჰოკეიში გოგონებსა და ბიჭებს შორის. სამწუხაროდ, ამინდმა მის ჩატარებაზე დიდი გავლენა მოახდინა – დიდთოვლობის და უამინდობის გამო ქუთაისში ჩასვლა ვერ შეძლეს თბილისისა და გურიის რეგიონის გუნდებმა. შედეგად, ტურნირს მხოლოდ სამი ნაკრები შემორჩა – ქუთაისი, აბაშა და ბათუმი, წრიული ტურნირის შემდეგ კი გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. საუკეთესოდაც ადგილობრივი მოთამაშეები დაასახელეს: გოგონებში – **ბელა ბასილაძე**, ბიჭებში – **სოსო კუხიანიძე**.

ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა

ნიგნი I ძველი ქართული მწერლობა

ნიგნი II „ვეფხისტყაოსანი“

ნიგნი III XIX საუკუნის მწერლობა

ნიგნი IV XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“

ამინდი, არქიტექტურა, კრიმინალისტიკა, ჯანსაღი კვება, მთები, ევროპა, ოლიმპიური თამაშები, მეკობრეები, ქიმია, ხალხთა დიდი გადასახლება, მეცნიერებები, უძველესი ადამიანი

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

გაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გაღასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია ენიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მოსწავლეს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია

კრებულის ფასი – 9.90ლ

სერიის ფასი – 17.70ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40ლ

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში – წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

კრეატიულად შესრულებული საუკეთესო კონცეფციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით, კონკურსი „კრეათონი“ განახორციელა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები, 12 საათის განმავლობაში, ერთმანეთს საუკეთესო კონცეფციის შექმნაში ეჯიბრებოდნენ.

„კრეათონი“ მარათონის ტიპის ღონისძიებაა, სადაც მონაწილეები, მოკლე დროში, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მუშაობენ კონკრეტული დავალების კრეატიულად შესრულებასა და ახალ იდეებზე.

„კრეათონი“ სამ მიმართულებას მოიცავდა:

- ლოგოს დიზაინი (გრაფიკულად აწყობილი);
- საიტის კონცეფცია (ვიზუალური დიზაინი);
- მოკლემეტრაჟიანი ვიდეოს იდეა/კონცეფცია.

თემატიკა 100-მდე მონაწილეს უშუალოდ კრეათონის დაწყებისას განესაზღვრათ, გუნდის წევრთა რაოდენობა სამ ადამიანს არ აღემატებოდა.

12-საათიანი მუშაობის შედეგები კომპეტენტურმა ჟიურიმ შეაფასა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: **რუსუდან ფეტვიაშვილი, დავით ბირმანი, გიორგი მიქაია, ნიკა გვენცაძე, GITA, თემურ გოგოლაძე, დავით ქელეხსაშვილი, მარიამ ბექაური, გიორგი თავაძე, Microsoft.**

თითოეული მიმართულებით გამოვლინდა გამარჯვებულები, რომელთაც ფულადი ჯილდო 1500 ლარის ოდენობით გადაეცა.

ლოგოს დიზაინის მიმართულება – **გიორგი** და **ნინო ცუცქირიძეები**;

საიტის კონცეფციის მიმართულება – ჯგუფი **Elliot Webber** (**გიორგი ბერეჩიკიძე, თორნიკე ხოტივარი, მართა ღუდუშაური**);

ვიდეოკონცეფციის მიმართულება – ჯგუფი **Partner** (**სალომე კოკაია, დევი ციხისელი, თამაზ ჯობავა**).

წიგნის თარო

დიოგენე

თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი



ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
10 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე
7 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი



ბიოლოგია
ეროვნული გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, ლ. ნაზირიშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK